

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში

სიმპოზიუმის მოხსენებათა კრებული

III International Symposium for Young Scholars in the Humanities

Symposium proceedings

gamomcemloba `universalir~

თბილისი 2020 Tbilisi

2

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდი

Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდა-
ჭერით (საგრანტო პროექტი MG-ISE-19-675).

This project has been made possible by financial support from the Shota
Rustaveli National Science Foundation of Georgia (Grant Project MGISE-
19-675).

www.rustaveli.org.ge

avtorTa stili daculia

Author's style is maintained

© humanitarul mecnierebaTa fakulteti, 2020

gamomcemloba `universalir~

Tbilisi, 0186, a. politikovskaias #4. • : 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-726-0

3

სიმპოზიუმის მხარდამჭერები:

ISYSH Partners

ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარდა

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური
მხარდაჭერით

Project Donor

**III International Symposium of Young Scholars in the Humanities was held with the Financial Support
of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia**

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

State Language Department

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts

სარჩევი / Content

წინათქმა.....	8
Preface.....	11
.....	13
Stefan Weidner	19
Blessed Are the Strangers! Muslim and Secular Views on Being a Stranger in the World	
Sara Ahmadova.....	37
The role of Mountain Jews in the development of jewelry art of Azerbaijan	
ნინო ბოკელავაძე.....	43
ფშავ-ხევსურთა ადამ-წესებისა და ტრადიციების ბიბლიური საფუძვლები	
Nino Bokelavadze.....	43
Scriptural Bases of Pshav-Khevsurian Customs and Traditions	
სოფიკო გელიაშვილი	54
იდეენტობის პრობლემა ჯუნა ბარნისის რომანში „ქალთა აღმანახი“	
Sophiko Geliashvili	54
The Problem of Identity in Djuna Barnes' "Ladies Almanack"	
ზაალ გოგენია.....	63
1936 წლის 18 ივლისის სახელმწიფო გადატრიალება და მისი ლეგიტიმაციის მცდელობა ფრანკოს რეჟიმის პირველ პერიოდში	
Zaal Gogenia.....	63
18 July 1936 Coup d'État and the Attempts of Its Legitimization during the First Period of the Francoist Regime	
ლილიანა გოგიჩაიშვილი.....	74
ჯონ დონის სატრფიალო ლირიკის „მეტაფიზიკური“ ხატოვანება	
Liliana Gogichaishvili	74
“Metaphysical” figurativeness of John Donne’s Love Poems	
რუსუდან გოგოხია.....	82
სოციალური მედიის როლი უცხოური ენის ათვისებაში	
Rusudan Gogokhia	82
The Role of Social Media in Language Learning	
თამთა გრიგოლია.....	90
ქენეთ ვაითის გეოპოეტიკა და ვეფხისტყაოსნის სივრცე	
მარიამ გურგენიძე	101
ქრისტიანობის გავრცელება დანიასა და შვედეთში წმინდა ანსგარის მოღვაწეობის ანალიზის მიხედვით	
Mariam Gurgenidze	111
The Spread Of Christianity in Denmark and Sweden	
Linda Eltermene.....	111
<i>The Center of Intercultural Dialogue of the Academic Library of the University of Latvia as a tool for developing Latvian-Georgian relations</i>	
Erdoğan BADA / Yonca ÖZKAN.....	119
English Language Teachers’ Views On Nativeness And Non-Nativeness Of English Teachers	
Natia Zardiashvili.....	130

Emotive Iplcatures In The Rhetoric Of Muslim Women თინათინ თვალჭრელიძე	139
ჯემალ ქარჩხაძის რომან „მდგმურის“ პერმენეტიკული წაკითხვისათვის	
Tinatin Tvaltchrelidze	139
Jemal Kharchkhadze`s novel “Resident” (Hermaneutical Interpretation)	
Sopio Totibadze	150
The Role of Fairy Tales in Forming Child’s Gender Stereotypes	
ნათია კენტჩიაშვილი	164
თარგმანები ქართულ მკერმეტყველებაში	
Natia Kentchiashvili	164
Translations in the Georgian Rhetoric	
მაია კვირკველია	176
ტროპული მტყველება მეოცე საუკუნის 70-იანი წლების პოეზიაში	
Maia Kvirkvelia	176
Tropes in the poetry of the 70s of the twentieth century	
ლუკა კუჭუხიძე	185
ბუნების ბიფურკაციის პრობლემა აღფრედ ნორთ უაიტჰედის ფილოსოფიაში (პირველადი და მეორადი თვისებების გადააზრების ცდა)	
Luka Kuchukhidze	185
The Problem of the Bifurcation of Nature in Alfred North Whitehead’s Philosophy (Rethinking the Primary/Secondary distinction)	
ეკატერინე მაისურაძე	196
ქართული ენა, როგორც ბათუმის ოლქის ქართველი მუსლიმების იდენტობის შენარჩუნების მთავარი მარკერი	
ანა მაღლაკელიძე	204
დიმიტრი ერისთავის მხატვრობა ფილმში „გიორგობისთვე“ (ესკიზების მაგალითზე)	
Ana Maghlakelidze	204
"Giorgobistve" – A Minimalist View of the Artist (Artist Dimitri Eristavi)	
ნინო მესხი	212
დოსტოევსკის «Сон смешного человека» ქართულ ენაზე	
Nino Meskhi	212
The Dream of a Ridiculous Man by Dostoevsky into the Georgian language	
სოფიო მოდებაძე	221
მუსიკა და ადორნოს „ნეგატიური დიალექტიკა“	
Sophio Modebadze	221
Music and “negative dialectic” of Adorno	
თამარ ნამგლაძე	231
საბჭოთა იდენტობის პოლიტიკა და საბავშვო მხატვრული ლიტერატურა (ლ. ლაგინის „მოხუცი ხოტაბიჩის“ მაგალითზე)	
Tamar Namgladze	231
Soviet Identity Politics and Children’s Literature (Based on L. Lagin’s “Old Man Khottabych”)	
თათია ობოლაძე	242
არქეტიპული კრიტიკა: ტრადიციული და თანამედროვე მიდგომები	
Tatia Oboladze	242
Archetypal Criticism: Traditional and Modern Approaches	
ეკა ორაგველიძე	253

სიყვარული დავით გურამიშვილის „დავითიანის“ მიხედვით Eka Oragvelidze	253
Love according to David Guramishvili's "Davitiani"	
Maurizio Petrocchi.....	262
From the Tupamaros to the Red Brigades, Common Tactics, and Strategies of the Urban Guerrilla	
ნინო პოპიაშვილი.....	275
ქართულ-ოსური საგანმანათლებლო ურთიერთობები XVIII-XIX საუკუნეებში: ოსური ანბანი და პირველი ოსური ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები	
Nino Popiashvili.....	275
Georgian-Ossetian Educational Relations in the XVIII-XIX Centuries: the Ossetian Alphabets and the First Ossetian Manuscripts and Printed Books	
ნინო ჯვანია.....	292
ჯემალ ქარჩხაძის რომან „მდგმურის“ თარგმნის ზოგიერთი თავისებურების შესახებ	
Nino Zhvania.....	292
Translating difficulties of the novel "The Tenant"	
ნიკოლოზ ჯღენტი.....	299
მთის წმ. გიორგის მონასტრის საეკლესიო სიძველეები (ზოგადი მიმოხილვა)	
Nikoloz Zhghenti	299
Mtis St. George Monastery Ecclesiastical Artifacts (Brief Review)	
ირინე საგანელიძე.....	310
მრავალეთნიკური თბილისის მულტიკულტურული ტრადიციები (კულტურული მოვლენები, ისტორიული პროცესები, საზოგადო მოღვაწეები)	
Irine Saganelidze	310
Multicultural Traditions of Multiethnic Tbilisi (Cultural Events, Historical Processes, Public Figures)	
Maguli Ghambashidze.....	320
The Modal Verb "khel-tsipheba" in Georgian Literary Language	
თამთა ღონღაძე.....	326
ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას პროზის ურთიერთმიმართებისათვის	
Tamta Ghonghadze	326
For the Interrelationship between Ilia Chavchavadze's and Vazha-Pshavela's Prose	
თამარ ღუღუნიშვილი.....	335
ომი პიროვნული და კულტურული ტრავმის კონტექსტში (თანამედროვე ქართველი და ირანელი მწერლების მოთხრობების მიხედვით)	
Tamar Ghughunishvili	335
War within te Context of a Perspnal and Cultural Trauma (based of works of Georgian and Iranian authors)	
მაია ცერცვაძე.....	344
ბაბო შერვაშიძის მემუარები – ნონფიქშენის საყურადღებო ნიმუში	
Maia Tsertsvadze.....	344
Baba Sharvashvadze's Memories – A notable specimen of Non-fiction	
ქეთევან ციმინტია / ოსებუ შენგელია.....	353
სახელაშე ქვევრები სამეგრელოს ძველ და თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში	
Ketevan Tsimintia / Lolita Shengelia.....	353

Sacramental Kvevri in old and modern life in Samegrelo	
გიორგი ცომაია.....	363
სასამართლო პროცესი საბჭოთა კავშირში ანდრეი ვლასოვისა და რგა-ს ხელმძღვანელების წინააღმდეგ	
Giorgi Tsomaia	363
The trial of General Andrei Vlasov and other leaders of the RLA	
მარიკა ჭითანავა.....	370
წმინდა მარკოზ მახარებლის ლიტურგია	
Marika Tchitanava	370
Liturgy of Saint Mark the Evangelist	
ანა ხვედელიანი.....	382
სკოლის რეორგანიზაცია, როგორც ნაციონალური იდენტობის ფორმირების საფუძველი (1918-1921)	
Ana Khvedeliani.....	382
Reorganization of School, as a Basis of Formation of National Identity (1918-1921)	
ნინო ხიდიშელი	391
ქართული დამწერლობა კრებულის „ქართული ანბანი – 33 ემოცია“ კვალდაკვალ	
Nino Khidisheli	391
The Role and Importance of the Georgian Script according to the Collection "Georgian Alphabet - 33 Emotions"	
თამარ ჯაფოშვილი.....	399
არქაული ლექსიკა ორიგინალსა და თარგმანში (ბორის აკუნინის რომანების „აზაზელისა“ და „პიკის ვალეტის“ მაგალითზე)	
Tamar Japhoshvili	399
Archaic Lexis in the Original Text and Translation (on the novels The Jack of Spades and Azazeli by Boris Akunin)	
გიორგი ჯღარკავა.....	408
პირის დეიქსისით გამოხატული რეფერენციულობა ქართველურ ენათა ანდაზებში	
Giorgi Jgharkava.....	408
Reference Expressed by Person Deixis in Kartvelian Proverbs	
ინფორმაცია ავტორთა შესახებ.....	427
Information about the authors.....	427
სიმპოზიუმის ქრონიკები.....	449
Chronicles of the Symposium	449

ეკა ორაგველიძე

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ლიტერატურის ისტორიის დეპარტამენტი

დაიბადა 1981 წელს. 1999-2003 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 2005 წელს დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მიმართულებით. სამაგისტრო ნაშრომი იყო „თვითშემეცნების საკითხი დავით გურამიშვილის „დავითიანის“ მიხედვით“. 2017 წლიდან დღემდე სწავლას აგრძელებს დოქტორანტურაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ფილოლოგიის (ქართული ლიტერატურის ისტორია) მიმართულებით. ამჟამად მუშაობს დისერტაციაზე „თვითშემეცნების პრობლემა და „დავითიანის“ არქიტექტონიკა“.

სიყვარული დავით გურამიშვილის „დავითიანის“ მიხედვით

სიყვარული დავით გურამიშვილის „დავითიანში“, ფილოსოფიური, რელიგიური თუ ლიტერატურული ტრადიციებიდან გამომდინარე, მრავალმხრივი გაგებითაა მოაზრებული, უმთავრესად კი ალეგორიული მნიშვნელობა ენიჭება. იგი საკუთარი თავის შეცნობისა და უფლის გზაზე დგომის, ადამიანის ღვთისადმი ლტოლვის უზენაეს გამოხატულებად მიიჩნევა. პოეტის თვალთახედვა დაფუძნებულია სიყვარულის ანტიკურ და ქრისტიანულ მსოფლგაგებაზე. პლატონის აზრით („ნადიმი), მშვენიერებით შემოსილ სულში სიყვარული სრულქმნილობის სურვილს ჰბადებს. ამგვარად ზემთაგონებული, „გაბრძნობილი და გამობრძმედილი“ (პლატონი, 2017:73), საბოლოოდ აუცილებლად შეიმეცნებს „მოდვრებას აბსოლუტური მშვენიერების შესახებ“ (პლატონი, 2017:73). ქრისტიანული თვალთახედვით კი, „ღმერთი სიყვარული არს“ (იოანე, I, 4,8). - ამ სიტყვებით საცნაურდება შემოქმედის მადლის სრულიად სამყაროში განფენილობის იდეა. იესო ქრისტემ უმთავრეს მცნებად სწორედ მოყვასის სიყვარული და მისთვის თავდადება დაუდგინა კაცობრიობას: „ესე არს მცნებაჲ ჩემი, რადთა იყუარებოდით ურთიერთას“ (იოანე, 15, 12).

სიყვარულის ალეგორიული გაგება ბიბლიური სოლომონის „ქებათა ქებიდან“ მომდინარეობს. აქ ასახული ქალვაჟური ტრფობა სიმბოლურად საღვთო მიჯნურობად მოიაზრება. ეს წიგნი არაერთხელ გამხდარა პოეტთა შთაგონების წყარო. შესაბამისად, პერსონაჟი ქალი ხშირად ან გზაა სიყვარულის სამყაროს შესაცნობად, ან სიმბოლურად თავად წარმოადგენს ღვთაებას. სწორედ „ქებათა-ქების“ სიტყვაკაზმულობითა და სატრფიალო მოტივებით შთაგონებული შოთა რუსთაველი

ჯერ საღვთო სიყვარულს ასახელებს: „ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა“ (სტრ.20)... და, რადგან „მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხედებიან“ (სტრ.21), მოყვასნი თავიანთი გულწრფელი ტრფობით „მართ მასვე ჰბამვენ“ (სტრ.21). „თვალსაჩინოა „ვეფხისტყაოსანსა“ და „დავითიანში“ ფილოსოფიურ-თეოლოგიური და პოეტური სემანტიკის ელემენტთა თანხვედრა. ასეთია „მიჯნურის“ ცნება, რომელსაც ბინარული მნიშვნელობა აქვს: საერო და საღვთისმეტყველო“ (ლ. კარიჭაშვილი, 2009).

ადამიანური სიყვარულის ალეგორიულად, საღვთო მიჯნურობად მოაზრების ტრადიცია განსაკუთრებით ძლიერია მე-18 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. მაგალითად შეიძლება დასახელდეს მამუკა ბარათაშვილის შემოქმედება. მის ლექსებში („ვიხილე შენი მშვენება“, „ჩერნიჩკოს ხმა“ და სხვა) აღწერილი სატრფო, სოლომონის „ქებათა ქების“ მსგავსად, ძალიან ჰგავს უფლის სიმბოლურ ხატს. ხოლო „ლექსის სწავლის წიგნში“ („ჭაშნიკი“) კი ამგვარად ურჩევს კალმოსნებს: „თუ სააშიყო ლექსი უნდა, ღმრთის სააშიყო, ეკლესიისა წმინდათა ამბავი გალექსოს, როგორც რუსთაველს უთქვამს“ (ბარათაშვილი მ. 1990:33)... ალეგორიული თხრობის მიმდევარია ვახტანგ მეექვსე და მისი თეორიულ-ლიტერატურული სკოლა. ვახტანგ მეფე „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებში საუბრობს პოემის „ალეგორიული თარგმანების“ პრინციპებზე (სირაძე, 1980 : 126). მისი თქმით, ჭეშმარიტი პოეზია „საღმრთოა და საეროცა“. არჩილი თავის ლექსში „სამიჯნურონი“ სიყვარულით გულანთებული ამბობს, რომ სათაყვანებელი არსების ხილვით გამოწვეული გრძნობა სინამდვილეში ზეციურია: „არის ზეციერი, ნუ გგონია მანდაურად“ (არჩილი, 1960:304).

დავით გურამიშვილიც თავის წინამორბედთა და თანამედროვეთა გზაზე დგას. მართალია, სიყვარული „დავითიანის“ ძირითადი თემა არ არის: „დავით გურამიშვილთან სიყვარულის თემა არაა წარმმართველი, ცენტრალური“ (ე.ხინთიბიძე, 2005), მაგრამ, რადგანაც ამ გრძნობას ალეგორიული მნიშვნელობა ენიჭება, შეიძლება ითქვას, რომ ღვთის გზაზე საკუთარი თავის შესამეცნებლად მდგარი ლირიკული გმირისთვის ტრფიალი პიროვნული სრულყოფის საწინდარია. იგი თავის შემოქმედს მიჯნურობის ნიჭით ედარება. დავით გურამიშვილისთვის უმნიშვნელოვანესი სწორედ საღვთო სიყვარულის გამოხატვაა. სიყვარულს სულის ამაღლების ძალა აქვს. პოეტი სწორედ მიჯნურობით გამოხატავს უფლისადმი მაღლიერებას: „შენ ხარ ჩემი ამგებ-მშენი, სიყვარული მე მაქვს შენი“ (გურამიშვილი I, 2013:188).

უფლისავენ სიყვარულით მავალი დავით გურამიშვილი წმ. დავით წინასწარმეტყველს მოუხმობს გზამკვლევად. პოეტი ლოცულობს: „შემამყარე მე საყვარელს, ჩემის გულის გასახარელს. ზე სიტყვაო ღვთისაო, ქვე ძევ დავითისა“ (გურამიშვილი I, 2013:188). - ამ სიტყვებს მოსდევს „ზუბოვკა“, რომელიც ალეგორიული ხასიათისაა. მკვლევართა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ საანალიზო ლექსი აღმოსავლური მისტიკური პოეზიისა და ქრისტიანული არეოპაგეტიკის მსოფლმხედველობის მიხედვით შექმნილი ლირიკული ნიმუშია (ნათაძე, 1973:225). მეცნიერთა მიერ ეს ნაწარმოები აგრეთვე „პატრიოტული მისტიკის“ (სატრფო - სამშობლო) ნიმუშადაც მოიაზრება (კეკელიძე, 1981:655). გარკვეული ნაწილის მოსაზრებით, „ზუბოვკაში“ დავით გურამიშვილი ხოტბას ასხამს მხოლოდ უკრაინელი ქალის მშვენიერებას. გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებაც, რომ ქალი შუამავალია კაცსა და ღმერთს შორის: „ამქვეყნიური სიყვარული, ქალი მედიუმი - კაცს ამაღლებს საუკუნო, ღვთაებრივ სამყარომდე“ (ე.ხინთიბიძე, 2005). მაგრამ, აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ამ ლირიკულ ნიმუშში ავტორი, უპირველესად, წმინდა ქრისტიანული თვალთახედვით გადმოსცემს თავის სათქმელს. „ზუბოვკაში“ განსახოვნებული ქალი უფლის სიმბოლოა. წინარე ლექსში პოეტის ლირიკული „მე“ საყვარლისაკენ სავალ გზას ეძებდა, აქ კი თავად შემოხვდა გზად ეს „საყვარელი“.

დავით გურამიშვილის და ზუბოვკელი ლამაზი ქალის შეხვედრის ეპიზოდი თავისი არსით, სიმბოლური მინიშნებებით, ძალიან ჰგავს დანტე ალიგიერის „ახალ ცხოვრებაში“ („La Vita Nuova“) გადმოცემულ პოეტისა და ბეატრიქს პირველად შეხვედრის ამბავს. დანტეს ბეატრიქე არ არის მხოლოდ მიწიერი ქალი, იგი თავად ზეციური სიყვარულის განსახიერებაა. სიზმარი, რომელშიც ისევ ლამაზი ბეატრიქე ფიგურირებს, საღვთო გამოცხადების ანალოგია. ამავე ტექსტში პოეტი განიცდის აგრეთვე სატრფოს გარდაცვალებასაც. დავით გურამიშვილსაც სწორედ „ცად ეგულება“ თავისი მიჯნური და მისტიკის მას. „ღვთაებრივი კომედიის“ მიხედვით, „ცადასული“ ბეატრიქეს სახილველად გაკვალულ გზას სამოთხემდე მიჰყავს შეყვარებული დანტე. იგი, სიყვარულის საუფლოში მოგზაური, აცნობიერებს თავისი პოეტური შემართების უმთავრეს მიზეზს, რომ სიქველე და სიყვარულია „ამ წიგნის სანუკველის ანი და ჰოე, სად სიყვარული შევიცანი სხვადასხვაგვარად“ (ალიგიერი, 2012:450). საბოლოოდ კი, ტრფობით ზემთაგონებული პოეტი წერს, რომ მისი არსება მთლიანად მოცულია „იმ სიყვარულით, რაც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს“ (ალიგიერი, 2012:488). - ესაა ადამიანის მიზანი და სამყაროსაც ეს აცოცხლებს. დავით გურამიშვილისა და დანტე ალიგიერის სიყვარულის გზით ღვთაებრივი სიბრძნის წვდომის მოტივების შესახებ (ქალი - შუამავალი, ქალი- ღვთაების ალეგორია) წერს

პროფ. ელგუჯა ხინთიბიძე: „ამქვეყნიური, ადამიანური სიყვარული - ქალი ამაღლებს ღირსეულ გმირს სასუფეველამდე, შეჰყავს მასში და იქ ეს ქალი - ეს სიყვარული უკვე ღმერთია, მაცხოვარია“ (ე. ხინთიბიძე, 2005). - მისი თქმით, შესაძლოა, ქალის, როგორც შუამავლის, გაგება დავით გურამიშვილთან ევროპული მწერლობის გავლენით აიხსნას; ხოლო სიყვარულის ალეგორიული მოდელი, რაც აგრეთვე დასავლურ აზროვნებაში აისახა, უშუალოდ ვახტანგ მეექვსის ლიტერატურული გარემოს მიერ იყოს ნაკარნახევი.

სატრფოს თვალები უზენაესი სიბჰნის წვდომის წყაროა შექსპირის პერსონაჟისთვისაც. პიესაში „ამაო გარჯა სიყვარულისა“ ნათანიელი კითხულობს: „...თვალეზი შენი საოცარი და ღრმა წიგნია. ცოდნის წყარო და სიამენი თვალეზში ბრწყინავს. შეგიცნობ, ვიტყვი - ცოდნისათვის მე მიმიგნია; განსწავლულია, შენი ქება შეიძლო ვინაც“ (შექსპირი, 1985:29).

ამქვეყნიური ლტოლვის, როგორც ღვთაებრივი სიყვარულის ყველაზე მიახლოებული ანალოგიის, გაიდება დამახასიათებელი მოვლენა იყო ბაროკოს ეპოქისთვისაც. სამაგალითოდ საკმარისია ჯონ დონის მეტაფიზიკური პოეზია, რომლის მიხედვით, ღირსეული გმირის ეროტიკული გრძნობები ღვთის მიმართ განცდილი სიყვარულის მეტაფორაა. აგრეთვე აღსანიშნავია რომის სანტა მარია დელა ვიტორიას ეკლესიაში დაცული სკულპტურა „წმ. ტერეზას ექსტაზი“ (ჯოვანი ლორენცო ბერნინი). ღვთის მოციქულის გამოცხადებით განცდილი ნეტარება მოქანდაკის მიერ ადამიანური ლტოლვით განპირობებული ექსტაზითაა ნაჩვენები. ბაროკული ტენდენციები, რომლებიც გავრცელებული და დამკვიდრებული იყო მე-18 საუკუნის უკრაინულ ხელოვნებაში, უცხო არ უნდა ყოფილიყო ამავე კულტურულ არეალში მოღვაწე დავით გურამიშვილისთვის. სამეცნიერო ლიტერატურაში მე-16-მე-18 საუკუნეების ქართული მწერლობა არაერთხელ მიჩნეულა ე.წ. „ბაროკოს ეპოქის“ ნაწილად (მ. ნაჭყებია). - მიუხედავად ამ შეხედულების მართებულობისა, პოეტის სიყვარულის ალეგორიული გაგების პირველწყაროდ მაინც ბიბლია მოიაზრება.

ლექსის დასაწყისშივე ქალის მშვენიერებით აღფრთოვანებული პოეტი თავიდანვე მიაწინებს თავის მისტიკურ ობიექტზე: „მისმან ეშხმან დაცამლეწა, შემიმუსრა ძვალი“ (გურამიშვილი I, 2013:189). - ეს არის პირდაპირი ციტირება წმ. იოანეს სახარებისეული ტექსტისა. მოციქული მაცხოვრის შესახებ გადმოსცემს: „ძვალი მისი არა შეიმუსროს“ (იოანე, 19, 36). გარდა ამისა, ზუბოვკელი ქალი „მზედ“ იწოდება. პოეტი ეკითხება მას: „ვკითხე, მზეო, სიდან მოხვალ“ (გურამიშვილი I, 2013:189)? - მზე „დავითიანში“, მაცხოვრის სახელს უკავშირდება. ლამაზი ქალი ნათლის სიმბოლოცაა. იგი „ნათლის სვეტივით“ დაადგა თავს სიბნელეში მყოფ

გამიჯნურებულ პოეტს. დავით გურამიშვილის ლირიკული გმირი ევედრება ქალს, გაუმხილოს მასთან მისასვლელი გზა: „გეაჯები, მაცოდნინე შენი გზა და კვალი“ (გურამიშვილი I, 2013:189). - ადამიანი უფლის გზის ძიებითაა დამაშვრალი. ზუბოვკელი ქალი სიმბოლურად უფალს განასახიერებს. მხცოვანი პოეტის სიყვარულით შეურაცხყოფილი ქალი სცემს თავდადებულ მიჯნურს: „აიღო და დამიშინა თავში დიდი კეტი“ (გურამიშვილი I, 2013:190). - საღვთო ძალის მიერ შემოკრული კეტის სიმწარეს გრძნობს პოეტი თავის სხვა ლექსშიც, „სიზმარი დავით გურამიშვილისა ტყვეობასა შინა“ ავტორი წერს, თუ როგორ ეზმანა ღვთის მოციქული. ანგელოზმა სცემა, რათა გამოფხიზლებულიყო და განსაცდელისაგან დაეღწია თავი: „ფეხი წამოძკრა წყნარადა, ჯოხითა დამაშინაო; რატომ ვერ ბედავ წასვლასა, აგრე რამ დაგაშინაო“ (გურამიშვილი I, 2013:100)? - ზეცირმა არსებამ ტყვეს გამოუცხადა თავისი მომავლინებლის ნება: „მან მითხრა: ვისაც შენ ამბობ, შენზედ წყალობა მისია; შენად ჯოხითა საცემრად მე იმან გამომისია“ (გურამიშვილი I, 2013:101). - ანგელოზი აფრთხილებს პოეტს, სასწრაფოდ განერიდოს, გაიპაროს, რადგან ბნელ ღამეს „მგლები“ ემტერებიან მიუსაფრებს. „ბნელი ღამე“ უფსკრულის, ჯოჯოხეთის სახელია, ღვთის მოციქული თავისთავად წმინდანს ნიშნავს.

საყვარელი ქალი დასჯილ მიჯნურს სიბრალულით უწვდის ხელს. ალევგორიულად ეს ეპიზოდი ცოდვით დაცემული ადამიანის ქრისტეს მიერ წამოყენებას ედარება. აღდგომილი უფლის მიერ ჯოჯოხეთში ჩასვლისა და მართალთა სულების გამოხსნის ამსახველ ხატზეც ხომ იგივეა გამოსახული. ნათლით მოსილ, „სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველ“ იესოს მძლავრად ჩაუჭიდებია ხელი შენდობილი ადამ-ევასთვის და მართალთა სულებთან ერთად ამოჰყავს ისინი ჯოჯოხეთიდან. დავით გურამიშვილის ლირიკული გმირიც ეწია დაცემის შემდეგ კვლავ წამოდგომის, სიბნელიდან ღვთაებრივ ნათელში გადასვლის ბედნიერებას. როგორც იესო - პირველი ადამიანების ჯოჯოხეთში ნაგვემ სულებს, ასევე ღამაში ქალი მას ნათლის სვეტივით წამოადგა თავს:

„შავებრალდი, თავს დამადგა, ვით ბნელს ნათლის სვეტი.

რა მოვბრუნდი, დაიხარა, ხელს მომკიდა ხელი;

ამაყენა, ასე მითხრა: „რად შემქმნისარ ხელი“ (გურამიშვილი I, 2013:190)? - ნათლის სვეტი უფლის სახელია: „მე ვარ ნათელი სოფლისაჲ. რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისაჲ“ (იოანე, 8, 12). ბიბლიის თანახმად („გამოსვლათა“, ეზეკიელის წინასწარმეტყველება, იოანეს „გამოცხადება“...), ნათლის სვეტი „ღვთისჩენის“ (ნ. გონჯილაშვილი, 2018) ნიშანია. ნიკოლოზ ბულაბერისძის „საკითხავის“ მიხედვით, „ნათლის სვეტი მიწიერების

ზეციერებისკენ სწრაფვის და მათი კავშირის ხილულ სასწაულადაა მიჩნეული“ (ნ. გონჯილაშვილი, 2018). ასეთი მეტაფორით არაერთგზის იხსენიებიან წმინდანები. „პოეტი ხშირად მიმართავს ამ მეტაფორა-სიმბოლოს, რითაც ღმერთთან წვდომის ვერტიკალურ ხაზს გამოკვეთს“ (სულავა, 2014). გარდა ამისა, ლირიკული გმირის „საყვარლის“ უმთავრესი სახე-სიმბოლო არის მზე. უფლის, - „მთეთა-მზის“- „ნათლის მიჯნურობა“ დავით გურამიშვილს, როგორც საღვთო სიყვარულის მეხოტბე პოეტის, სულისკვეთების გამომხატველი პარადიგმა:

„სჯობს ვეტრფიალო მზეთა-მზეს, მზისათვის თავი ვახელო,

ნათლისა გავხდე მიჯნური, რადგან თვალებსა ვახელო“ (გურამიშვილი I, 2013:84).

მკვდრეთით აღდგომილმა და ზეცად ამაღლებულმა იესო-მაცხოვარმა მოციქულებს ნუგეშად თავისი მოძღვრება დაუტოვა. „ახალი აღთქმა“ ეხარა კაცობრიობას. დავით გურამიშვილმაც ზუზოვკელი ქალისაგან მოისმინა „სიტყვა სახარელი“. სიმბოლურად პოეტი სწორედ საღვთო სიბრძნის მატარებელ სიტყვას გულისხმობს. სიტყვა, ლოგოსი, იესოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახელდება. პოეტი წერს: „მან დამიგდო საიმედო სიტყვა სახარელი“ (გურამიშვილი I, 2013:190). - აქ იგულისხმება იესოს მიერ ადამიანთა სანუგეშოდ ნაანდერძევი სახარება. პოეტი, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, ესქატოლოგიურ მოლოდინშია, კვლავ ელის თავის „საყვარელთან“ მეორედ შეხვედრას: „დამპირდა, თქვა: „კიდევ მოვალ“. აწ მე იმას ველი“ (გურამიშვილი I, 2013:191).

იესო ქრისტემ ჯვარცმით ადამიანთა მოდგმა გამოიხსნა ცოდვის ტყვეობიდან. ბრწყინვალე აღდგომით კი ჯოჯოხეთიდან ამოიყვანა მართალთა სულები. ლექსში ავტორის ლირიკული გმირიც აქამდე დახშული კარის გარდაცვალების შემდეგ კვლავ გახსნით ხარობს: „სიკვდილის დროს მე მის მეტი არავინ მყავს მშველი, მან გამიღოს სამყოფისა კარი შესასვლელი“ (გურამიშვილი I, 2013:191). - დავით გურამიშვილი ბედნიერია იმის მოლოდინით, რომ წუთისოფლის განლევის შემდეგ მკვდრეთით აღდგომილი იესო გაუღებს სამოთხის კარს და დაამკვიდრებს იქ, „სადაცა მართალნი განისვენებენ“. პოეტს მხოლოდ მისი მსახურება სურს. რადგან მხოლოდ იგი შეჰყვარებია. იმედოვნებს, რომ მაცხოვარი არ მოაკლებს მადლსა და წყალობას: „უკვდავების წყალს მიბოძებს, ცხოვრებისა პურსა“ (გურამიშვილი I, 2013:191). - ქრისტიანული მოთმინებით მოელის მარადიულ წყალსა და პურს, რათა არასოდეს განეშოროს უფლის სიყვარული. სოლომონ ბრძენიც სწორედ უკვდავების წყაროს ადარებს თავის გულის სწორს (ალეგორიულად - უფალს): „მტილი დახშული და ჩემი

სძალი, მტილი დახშული წყარო დაბეჭდული“ (სოლ. 4, 12). - სხვაგან კი „სატრფოს“ მოიხსენიებს, როგორც „წყარო მტილისა და ჯურღმული წყლისა ცხოველისა“ (სოლ. 4,12). დავით გურამიშვილი მადლიერებას გამოხატავს უფლის მიერ გაღებული მსხვერპლისთვის: „ჩემი სიყვარულისათვის სცემეს ხელშეკრულსა, სახით ვხედავ ჩემთვის მკვდარსა სისხლით გაბაწრულსა“ (გურამიშვილი I, 2013:191). - ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულის გამოცხადების შემდეგ კი შეწყალებას ევედრება თავის მხსნელს, რათა არ გაიწიროს ამ წუთისოფლის, „ქვესკნელის“, მიერ. პოეტს სურს, მუდამ უფლის წინაშე იყოს, მის სიახლოვეს მკვიდრობდეს და აქებდეს მაცხოვრის სახელს: „ქვესკნელსა ვარ, ვერა ხედავ, მეგულვები ცადა, გეაჯები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა“ (გურამიშვილი I, 2013:191)!

ამრიგად, ქალვაჟური სიყვარული „დავითიანში“ საღვთო მიჯნურობის მნიშვნელობითაა წარმოდგენილი. იგი ადამიანის საუფლო გზაზე სვლისა და ცოდვილი კაცის ღმერთთან შერიგების საწინდარია. ამ თვალსაზრისით, „ზუზოვკა“ უმთავრესად წმიდა ქრისტიანული სახე-სიმბოლოებით დატვირთული ლექსია. მასში უფლის მიერ კაცთა მოდგმის ტყვეობიდან გამოხსნის ბიბლიური ამბავი და ღვთის სიყვარულით გულანთებული მადლიერი ადამიანის რელიგიური გრძნობებია გადმოცემული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალიგიერი დანტე, „ღვთაებრივი კომედია“; გამომცემლობა „პალიტრა L“; თბ. 2012; 528 გვ.
2. არჩილი, „სამიჯნურონი“ (ლექსნი აქა-იქ ნათქვამი); „ჩვენი საუნჯე; IV ტ. გამომცემლობა ნაკადული „ნაკადული“; თბ. 1960 წ. 512 გვ.
3. ახალი აღთქმა; წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციით კრიტიკულად დადგენილი ტექსტის მესამე სრული გამოცემა; საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა; თბ. 2003 წ. 228 გვ.
4. ბარათაშვილი მ. „ლექსის სწავლის წიგნი“ (ჭაშნიკი); ქართული მწერლობა, VIII ტ. გამომცემლობა „ნაკადული“; თბ. 1990; 688 გვ.
5. გურამიშვილი დ. „დავითიანი“; ორტომეული; გამომცემლობა „პალიტრა L“; თბ. 2013 წ. 336 [2] გვ.

6. კეკელიძე კ. , „დავით გურამიშვილი“; ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II ტ. გამომცემლობა „მეცნიერება“; თბ. 1981; 752 გვ.
7. ნათაძე ნ. „დავითიანის“ დიდი საიდუმლო“; „ლიტერატურული წერილები“; თბ. 1973წ.
8. პლატონი, „ნადიმი“; გამომცემლობა „Carpe diem“; თბ. 2017 წ. 112 გვ.
9. რუსთაველი შოთა, „ვეფხისტყაოსანი“; გამომცემლობა „მერანი“ თბ. 1992; 46 გვ.
10. სირაძე რ. „დავით გურამიშვილის მეორე პოეტური „მე“; „წერილები“; გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“; თბ. 1980; 204, [4] გვ.
11. შექსპირი, „ამაო გარჯა სიყვარულისა“; თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად; IIტ. გამომცემლობა „ხელოვნება“; თბ. 1985 წ. 420 გვ.
12. „წიგნი ქებათა-ქება მეფისა სოლომონისა“; ექვთიმე ხელაძის სტამბა; თბ. 1884 წ. 1500 გვ.

ინტერნეტრესურსები:

13. გონჯილაშვილი ნ. „ნათლის სვეტის“ პარადიგმული სახისმეტყველება ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავსა“ და „საგალობელში“; ენათმეცნიერება; „სპეკალი“, N 12; 2018 წ.

<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/12/120>

14. კარიჭაშვილი ლ. „ვეფხისტყაოსნისა“ და „დავითიანის“ ტიპოლოგიური მიმართების საკითხები“; ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები (II საერთაშორისო სიმპოზიუმი, (ნაწილი I); საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; თბ. 2009

<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0-0-0---0prompt-10--.%2e-4----4---00l-11-en-00---10-ru-50--00-3-help-00-0-00-11-1-OutfZz-8-00-0-11-1-1utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.13&d=HASHfe019df1b0e15b319b1ff0.27#HASHfe019df1b0e15b319b1ff0.27>

15. ნაჭყებია მ. „ლიტერატურული ბაროკოს გეოგრაფია და და ეროვნული თავისებურებანი“; ფილოლოგიური ძიებანი

http://www.sjani.ge/sjani-16/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%98%E1%83%90%20%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%90.pdf?fbclid=IwAR1PBh7K1bXq9gmvdC8t8dvoqACncbVZSE5gVWqg2n_prmGRN0s3GSmdHxU

16. სულავა ნ. „დავით გურამიშვილის ლოცვისა და ვედრების ინტერპრეტაციისათვის“; „სპეკალი“ N7; 2014

http://eprints.tsu.ge/500/1/%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%20%E2%84%967%202014-%20nestan%20sulava.pdf?fbclid=IwAR3uev544HTbfREM7beJEoFt9R6e_0Ugwd1vZxSKGNDS7mJCVR4AsrbfN4s

17. ხინთიბიძე ე. „ზუბოვკის“ სიყვარულის მისტიკური ინტერპრეტაციისათვის“; „დავით გურამიშვილი 300“; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია; შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი; სამეცნიერო შრომების კრებული; „ზეკარი“; თბ. 2005 წ. 247გვ.

http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1---0-10-0---0--0prompt-10---4-----0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-10&a=d&cl=CL2.6&d=HASH01ed6c39090ae26b3841f24a.5.5&fbclid=IwAR0cTTNt4m6NReBg5dhBHMccopXQhBzHQPv_OROfvalkl-TOIPVxejBhMvE

Resumes

In David Guramishvili's work love is considered not only as human passion, but mainly as a way to get closer to God. Therefore, it is special phenomenon for the poet. In this regard, it's very interesting antique, Christian and renaissance views on love and comparison of David Guramishvili's worldview to them.

Love in "Davitiiani" is shown, as the expression of divine affection. Therefore object of love - woman - is shown in two different ways – a woman - as a mediator between man and God and a woman as expression of a deity. This two ideas stand on an antique and orthodox viewpoints. Also similar concepts are shown in literature of middle ages, renaissance and baroque. These examples show interesting similarities of poet's worldview to them. Analysis of "Zubovka" make it clear, that meeting with loved one allegorically means Christ and expresses lyrical hero's wish to unite with divine love.

For the author divine love is expressed metaphorically by “being in love with the light. “To become lover of the light”...- writes poet. Here he means directly love of God, which is considered love towards “sun’s sun”. Lyrical hero’s “love towards sun” strengthens the idea, that story in “Zubovka” is not only depicting loving relationship, but firstly it is considered hymn of love of man and god.

David Guramishvili considers marriage as the pinnacle of love. This idea is based on poet’s parable-allegorical writing principles. The poem “happy summer” in the final part of “Davitiani” preaches finishing boy-girl love relationship with marriage, the poem is also considered the hymn of divine marriage. The title of poem means happiness and renewal of reconciliation of man with god; the conditional title of the poem is also interesting (Thorned shepherd). According to poem, thorn is symbol of fulfilment of divine will.

Main ideal of the poem – finalization of boy-girl love with marriage, is perceived as allegory of sanctified man returning to god with the way of love. In this regard changing the faces of lyrical characters and understanding of their thoughts are very important, which is dictated by author’s self reflection and establishment of personal “me”.

In “Davitiani” is shown the world model by “David Guramishvili, that is rebuilt by divine order. This is completely founded on “new testament”- Christian preachment – reconciled man with god by the power of love and draws similarity with the works of predecessor (Rustaveli) and heir (Vazha-Pshavela) alike.